ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №3

23.12.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
15:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
3. ალექსანდრე ხუჯაძე - კომისიის წევრი;
4. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
5. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
6. ზვიად კუპრავა - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (12-032134435-03; 10.12.2021);

- ინფორმაციის მოსმენა სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ საქმიანობის შესახებ.

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;

- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

- **ვიქტორ წილოსანი** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსი.

სხდომას ესწრებოდნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს წევრები და ასევე, საკითხით დაინტერესებული მოქალაქეები.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

გ. თალაკვაძემ ვრცლად ისაუბრა 2022 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტის შესახებ და გამოთქვა მზადყოფნა კითხვების არსებობის შემთხვევაში, დეტალურად განეხილა საკითხი.

როგორც მან აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა **1 305 418,2 ათასი** ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია **255 115,7 ათასი** ლარით, ხოლო 2022 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით **105 501,2 ათასი** ლარით.

გაზრდილი ფინანსური რესურსისა და პროგრამის - „მეტი სიცოცხლე ყველა უბანში" გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - **262,892.5 ათასი** ლარი.
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - **259 782,6 ათასი** ლარი.
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - **167 317,1 ათასი** ლარი.
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - **1 845,0 ათასი** ლარი.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - **41 115,2 ათასი** ლარი.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - **176 777,0 ათასი** ლარი.
- განათლება - **208 486,9 ათასი** ლარი.
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - **48 805,5 ათასი** ლარი.

ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია - **982 943,0 ათასი** ლარით, მათ შორის: **შრომის ანაზღაურება 87 417,2 ათასი** ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია **161 383,4 ათასი** ლარი, პროცენტი **11 079,9 ათასი** ლარი, **სუბსიდიები 321 742,2 ათასი** ლარი, **გრანტები 485,7 ათასი** ლარი, სოციალური უზრუნველყოფა **168 829.9 ათასი** ლარი, სხვა ხარჯები **232 005,2 ათასი** ლარით.

2022 წლისათვის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა **20 530,6 ათასი** ლარით, რაც ნიშნავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2022 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს **1 305 418,2 ათას** ლარს, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია **255 115,7**

ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია **105 501,2 ათასი** ლარით, მათ შორის:

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენის** პრიორიტეტი დაფინანსებულია - 262 892,5 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამისთვის **ტრანსპორტის განვითარება** - გათვალისწინებულია **175 331,2 ათასი** ლარი, რაც ბიუჯეტის პირველად ვერსიასთან შედარებით მეტია **35 638,6 ათასი** ლარით. ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში თანხის მატება აღინიშნება გარკვეულ ქვეპროგრამებში. მათ შორის, ქვეპროგრამაში - **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები** - **9 500,0 ათასი** ლარით (მათ შორის ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვისთვის დამატებული ღირებულების გადასახადელად 3 500,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის (EBRD) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირების ხარჯზე)). ქვეპროგრამა **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია** პირველად ვერსიასთან შედარებით იზრდება **29 729,3 ათასი** ლარით და შეადგენს **59 638,6** ათას ლარს.

ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი **225 000,0 ათასი** ლარი, პირველად წარდგენილ პროექტთან შედარებით მეტია - **50 000,0 ათასი** ლარით. აღნიშნული თანხა მოხმარდება თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს, ხიდების და გვირაბების მოწყობა/რეაბილიტაციას, თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობას, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქციას, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა/ რეაბილიტაციას, ავარიული სახლების ჩანაცვლებას, M2 კატეგორიის ავტობუსების შეძენას.

გ.თალაკვაძემ დასძინა, რომ მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება დედაქალაქის ბიუჯეტისთვის კვლავ ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით არსებული პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხებით 2022 წლის განმავლობაში დაგეგმილია ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა: მუხრან მაჭავარიანისა და მარშალ გელოვანის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა, კრწანისის ქუჩის რეაბილიტაცია, ქეთევან დედოფლის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთათვის გაუმჯობესდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. კერძოდ, დამონტაჟდება ახალი საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, ბოძკინტები, ლითონის ძელებიანი ზღუდარები, ანტივანდალური სფერული სარკეები. ასევე, დაგეგმილია ავტობუსის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა, ავტობუსებში მგზავრთა აღმრიცხველების (მთვლელი მოწყობილობის) შესყიდვა-მონტაჟი. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წლის ბოლომდე იგეგმება ინტეგრირებულ სისტემაში მთლიანობაში M2 კატეგორიის 1000 ერთეულის ჩართვა, ყოველდღიურად 774 ერთეულის მოძრაობა და 163 მარშრუტზე რეისების შესრულება. M3 კატეგორიის 8 მეტრიანი ავტობუსისთვის 35 ახალი მარშრუტის გაშვება მთლიანად და რეისების შესრულება, სადაც ჩართული იქნება 400 ერთეული, ხოლო

12 და 10 მეტრიანი ავტობუსისთვის 29 მარშრუტის გაშვება, სადაც ჩართული იქნება 460 ერთეული. ასევე, იგეგმება 18-19 მეტრიანი 200 ავტობუსზე ტენდერის გამოცხადება.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, შ.ოგბაიძემ კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

- მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის (12-032134435-03; 10.12.2021) საკრებულოს სხდომაზე გატანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032134435-03; 10.12.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

შ. ოგბაიძემ დამსწრე საზოგადოებას დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ამავე სააგენტოს ხელმძღვანელმა **ვიქტორ წილოსანმა** წარადგინა.

ვ. წილოსანმა ისაუბრა განვლილი პერიოდის განმავლობაში, დედაქალაქში სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებულ სიახლეებზე. მანვე ისაუბრა საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის ახალი სიტემის შემოღებაზე, რომელიც გულისხმობს ერთ წლიან, ექვს თვიან, სამ თვიან, ერთ კვირიან, ერთ დღიან და 90 წუთიან ულიმიტო პაკეტებს. სასურველი პაკეტის შეძენისას, მოქალაქე ისარგებლებს ულიმიტო მგზავრობით მეტროში, ავტობუსსა და მიკროავტობუსში.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ამ დრომდე არსებული ყველა საშეღავათო პირობა ძალაში რჩება.

კომისიის წევრი **ზ.კუპრავა** დაინტერესდა, თუ რა აუცილებლობამ გამოიწვია ტარიფების გაძვირება საზოგადოებრივ ტრანსპორტში. მან სხდომაზე დამსწრე მოქალაქეებიდან რამდენიმეს მაგალითი მოიყვანა და აღნიშნა, რომ დედაქალაქის მთავრობის მხრიდან მსგავსი არა სამართლიანი ნაბიჯები გამოიწვევს საპროტესტო ტალღას.

გადახდის ახალ სისტემასთან დაკავშირებით შეკითხვები დასვეს სხდომაზე დამსწრე მოქალაქეებმაც. შეკითხვებს პასუხი გასცეს **ვ. წილოსანმა** და **შ.ოგბაიძემ**.

სხდომის მიწურულს,**შ.ოგბაიძემ** აღნიშნა, რომ თბილისში, რომელიც წლების განმავლობაში მსუბუქ ავტომობილებზე იყო გათვლილი, დღეს საზოგადოებრივ ტრანსპორტს ბევრად მეტი მომხმარებელი ჰყავს. გადახდის ახალ სისტემაზე გადასვლა კი ხელს შეუწყობს მეტად პოპულარული გახდეს დედაქალაქში მეტროთი, ავტობუსითა და მიკროავტობუსით გაადგილება.

კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს მოსმენილი ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე